

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს „ტექნოჰაუს“-ის
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ახსნა განმარტებით შენიშვნებს. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე გამოყენებულ სააღრიცხვო მიდგომებს, მენეჯმენტის პასუხისმგებლობას მის მომზადებასა და წარდგენაზე. აუდიტორის პასუხისმგებლობას და გამოთქმულ მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
მოსაზრება სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
ძირითადი საქმიანობა	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	10
ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	10
ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია	11
რისკის მართვა	23
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
სასამართლო დავები.....	26
საწარმოს უწყვეტობის განხილვა	26
მმართველობითი ანგარიშგება	27

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ტექნოპაუს“-ის დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტექნოპაუს“-ის (შემდგომში *კომპანია*) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს *კომპანიის* ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია „აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ აბზაცში. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA) შესაბამისად და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებელი და ასევე ჩვენი ქმედებები შესაბამისობაშია IESBA კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებებს მთლიანობაში.

მოსაზრება სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკის, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;



WE ARE AN INDEPENDENT MEMBER OF
THE GLOBAL ADVISORY
AND ACCOUNTING NETWORK

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ:(995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel:(995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობით ანგარიშგებაში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

გარიგების პარტნიორი

ირმა ხაჩიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-683479)

შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-340628)

27 სექტემბერი 2020

საქართველო, თბილისი



WE ARE AN INDEPENDENT MEMBER OF
THE GLOBAL ADVISORY
AND ACCOUNTING NETWORK

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ:(995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel:(995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობით ანგარიშგებაში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

გარიგების პარტნიორი

ირმა ხაჩიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-683479)

შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-340628)

27 სექტემბერი 2020

საქართველო, თბილისი



შპს ტექნოპაუს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	8	1 366 029	642 311	406 436
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	5 580 148	4 363 687	4 573 316
გადახდილი ავანსები		228 825	125 398	148 885
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	12 975 523	12 363 723	18 637 649
გადახდილი გადასახადები		219 983	97 260	146 894
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი		4 241	4 053	3 806
მოთხოვნები კაპ. შევსებაზე		73	73	73
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ				2 329
ჯამურად მიმდინარე აქტივები		20 374 821	17 596 505	23 919 388
საინვესტიციო ქონება		525 000	480 000	435 000
ძირითადი საშუალებები	4	1 871 604	1 685 986	1 906 332
არამატერიალური აქტივები	5	4 866	2 062	12 148
აქტივის გამოყენების უფლება	14	-	-	4 902 186
სხვა გრძელვადიანი აქტივები		154 508	189 700	225 575
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		2 555 978	2 357 748	7 481 242
სულ აქტივები		22 930 799	19 954 253	31 400 630
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	9	14 093 675	10 372 043	14 510 218
მიღებული ავანსები		142 069	228 474	303 240
გადასახდელი ხელფასები		85 015	93 546	126 377
მოკლევადიანი სალიზინგო ვალდებულება		-	39 297	-
მოკლევადიანი სესხები		-	-	1 884 715
გადასახდელი გადასახადები		-	-	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		39	-	-
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		14 320 799	10 733 359	16 824 550
საიჯარო ვალდებულებები		-	-	5 058 334
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულება		84 575	-	-
ჯამურად გრძელვადიანი სესხები		84 575	-	5 058 334
სულ ვალდებულებები		14 405 373	10 733 359	21 882 884
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		378 000	378 000	378 000
გაუნაწილებელი მოგება		8 137 515	8 833 799	9 128 598
სხვა რეზერვები და დაფინანსება		9 911	9 095	11 147
სულ კაპიტალი		8 525 426	9 220 894	9 517 745
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		22 930 799	19 954 253	31 400 630

დირექტორი

27 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

27 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შპს ტექნოპაუს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
ფული და ფულის ექვივალენტები	8	1 366 029	642 311	406 436
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	5 580 148	4 363 687	4 573 316
გადახდილი ავანსები		228 825	125 398	148 885
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	12 975 523	12 363 723	18 637 649
გადახდილი გადასახადები		219 983	97 260	146 894
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი		4 241	4 053	3 806
მოთხოვნები კაპ. შევსებაზე		73	73	73
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ				2 329
ჯამურად მიმდინარე აქტივები		20 374 821	17 596 505	23 919 388
საინვესტიციო ქონება		525 000	480 000	435 000
ძირითადი საშუალებები	4	1 871 604	1 685 986	1 906 332
არამატერიალური აქტივები	5	4 866	2 062	12 148
აქტივის გამოყენების უფლება	14	-	-	4 902 186
სხვა გრძელვადიანი აქტივები		154 508	189 700	225 575
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		2 555 978	2 357 748	7 481 242
სულ აქტივები		22 930 799	19 954 253	31 400 630
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	9	14 093 675	10 372 043	14 510 218
მიღებული ავანსები		142 069	228 474	303 240
გადასახდელი ხელფასები		85 015	93 546	126 377
მოკლევადიანი სალიზინგო ვალდებულება		-	39 297	-
მოკლევადიანი სესხები		-	-	1 884 715
გადასახდელი გადასახადები		-	-	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		39	-	-
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		14 320 799	10 733 359	16 824 550
საიჯარო ვალდებულებები		-	-	5 058 334
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულება		84 575	-	-
ჯამურად გრძელვადიანი სესხები		84 575	-	5 058 334
სულ ვალდებულებები		14 405 373	10 733 359	21 882 884
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		378 000	378 000	378 000
გაუნაწილებელი მოგება		8 137 515	8 833 799	9 128 598
სხვა რეზერვები და დაფინანსება		9 911	9 095	11 147
სულ კაპიტალი		8 525 426	9 220 894	9 517 745
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		22 930 799	19 954 253	31 400 630

დირექტორი

27 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

27 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შპს ტექნოპაუს
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	37 024 695	41 430 734
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(27 763 199)	(32 195 910)
მთლიანი მოგება		9 261 496	9 234 823
რეალიზაციის და სხვა კომერციული ხარჯები	12	(1 491 782)	(974 043)
ადმინისტრაციული დანახარჯები	13	(4 882 821)	(4 270 560)
ცვეთის ხარჯი		(252 486)	(1 474 625)
სხვა ხარჯი		(519 614)	(409 995)
სულ საოპერაციო ხარჯები		(7 146 703)	(7 129 223)
არასაოპერაციო შემოსავალი		422 325	565 907
ფინანსური ხარჯი		(12 000)	(299 890)
ფინანსური შემოავალი		11 184	7 852
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		122 503	(772 783)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		544 011	(498 914)
მოგება დაბეგრამდე		2 658 805	1 606 686
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		2 658 805	1 606 686
სხვა სრული შემოსავალი		-	
სულ შემოსავალი		2 658 805	1 606 686

დირექტორი

27 სექტემბერი 2020
 თბილისი, საქართველო


მთავარი ბუღალტერი

27 სექტემბერი 2020
 თბილისი, საქართველო

შპს ტექნოპაუს
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	37 024 695	41 430 734
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(27 763 199)	(32 195 910)
მოთიანი მოგება		9 261 496	9 234 823
რეალიზაციის და სხვა კომერციული ხარჯები	12	(1 491 782)	(974 043)
ადმინისტრაციული დანახარჯები	13	(4 882 821)	(4 270 560)
ცვეთის ხარჯი		(252 486)	(1 474 625)
სხვა ხარჯი		(519 614)	(409 995)
სულ საოპერაციო ხარჯები		(7 146 703)	(7 129 223)
არასაოპერაციო შემოსავალი		422 325	565 907
ფინანსური ხარჯი		(12 000)	(299 890)
ფინანსური შემოსავალი		11 184	7 852
მოგება-ზარალი საკუროსო სხვაობიდან		122 503	(772 783)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		544 011	(498 914)
მოგება დაბეგრვამდე		2 658 805	1 606 686
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		2 658 805	1 606 686
სხვა სრული შემოსავალი		-	
სულ შემოსავალი		2 658 805	1 606 686


დირექტორი
27 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო


მთავარი ბუღალტერი
27 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შპს ტექნოპაუს
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2018	31.12.2019
წმინდა მოგება	2 658 805	1 606 686
ცვეთა და ამორტიზაცია	252 486	1 474 625
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	2 911 291	3 081 312
ცვლილებები მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 408 221	(172 534)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	611 800	(6 273 926)
ცვლილებები წინასწარ გაწეულ ხარჯებში	188	247
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	122 723	(88 931)
ცვლილებები გადახდილ ხელფასებში		
ცვლილებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(3 723 600)	4 150 030
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	8 531	32 832
ცვლილებები მიღებულ ავანსებში		
ცვლილებები საიჯარო ვალდებულებებში		5 058 334
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში		
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში		
რეალიზებული საკურსო სხვაობები	(17 266)	(4 230)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 321 888	5 783 134
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები საინვესტიციო ქონებაში	(1 797)	(345 717)
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(35 193)	(44 600)
ცვლილებები გამოყენების უფლებით მიღებულ აქტივებში	-	(6 164 276)
ცვლილება გრძელვადიანი აქტივების მიწოდებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(36 990)	(6 554 593)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		
ცვლილებები მოკლევადიან სესხებში	-	1 884 715
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულების დაფარვა	(45 278)	(39 297)
ცვლილება კომპანიის კაპიტალში (გარდა პერიოდის წმინდა მოგებისა)	(1 963 336)	(1 309 835)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2 008 614)	535 583
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(723 717)	(235 876)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1 366 029	642 311
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	642 311	406 436

დირექტორი

27 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

27 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შპს ტექნოპაუს
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2018	31.12.2019
წმინდა მოგება	2 658 805	1 606 686
ცვეთა და ამორტიზაცია	252 486	1 474 625
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	2 911 291	3 081 312
ცვლილებები მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 408 221	(172 534)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	611 800	(6 273 926)
ცვლილებები წინასწარ გაწეულ ხარჯებში	188	247
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	122 723	(88 931)
ცვლილებები გადახდილ ხელფასებში		
ცვლილებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(3 723 600)	4 150 030
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	8 531	32 832
ცვლილებები მიღებულ ავანსებში		
ცვლილებები საიჯარო ვალდებულებებში		5 058 334
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში		
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში		
რეალიზებული საკუროს სხვაობები	(17 266)	(4 230)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 321 888	5 783 134
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები საინვესტიციო ქონებაში	(1 797)	(345 717)
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(35 193)	(44 600)
ცვლილებები გამოყენების უფლებით მიღებულ აქტივებში	-	(6 164 276)
ცვლილება გრძელვადიანი აქტივების მიწოდებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(36 990)	(6 554 593)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		
ცვლილებები მოკლევადიან სესხებში	-	1 884 715
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულების დაფარვა	(45 278)	(39 297)
ცვლილება კომპანიის კაპიტალში (გარდა პერიოდის წმინდა მოგებისა)	(1 963 336)	(1 309 835)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2 008 614)	535 583
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(723 717)	(235 876)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1 366 029	642 311
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	642 311	406 436

დირექტორი

27 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

27 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შპს ტექნოპაუს
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები და დაფინანსება	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	378 000	8 137 515	9 911	8 525 426
საწესდებო კაპიტალის გაზრდა				-
პერიოდის მოგება/ზარალი		2 659 621	816	2 658 805
დივიდენდის გატანა		1 963 336		
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	378 000	8 833 799	9 095	9 220 894
საწესდებო კაპიტალის გაზრდა				
პერიოდის მოგება/ზარალი		1604634	2052	1 606 686
დივიდენდის გატანა		1309835		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	378000	9128598	11147	9 517 745

დირექტორი

27 სექტემბერი 2020
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი


27 სექტემბერი 2020
 თბილისი, საქართველო

შპს ტექნოპაუს
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები და დაფინანსება	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	378 000	8 137 515	9 911	8 525 426
საწესდებო კაპიტალის გაზრდა				-
პერიოდის მოგება/ზარალი		2 659 621	816	2 658 805
დივიდენდის გატანა		1 963 336		
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	378 000	8 833 799	9 095	9 220 894
საწესდებო კაპიტალის გაზრდა				
პერიოდის მოგება/ზარალი		1604634	2052	1 606 686
დივიდენდის გატანა		1309835		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	378000	9128598	11147	9 517 745


 დირექტორი

27 სექტემბერი 2020
 თბილისი, საქართველო


 მთავარი ბუღალტერი

27 სექტემბერი 2020
 თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ტექნოპაუს“ (შემდგომში *კომპანია*) დაფუძნდა 2009 წლის 23 აპრილს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი ფარსადანის ქ. #5. *კომპანიის* დამფუძნებელი და ას პროცენტისა წილის მფლობელია არარეზიდენტი ფიზიკური პირი - იუსუფ ბაშარი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს როგორც საცალო, ასევე სადილერო საყოფაცხოვრებო ტექნიკის და კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვა, აგრეთვე პროდუქცია ექსპორტზე გააქვს ყირგიზეთსა და სომხეთის რესპუბლიკაში. *კომპანია* არის მსოფლიო ბრენდების ბეკოს, ბლომბერგის, გრუნდიკის, ალტუსის, მილენის, სანის, ვოქსის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ზასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს *კომპანიის* ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს *კომპანიის* ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უწყვეტი ფუნქციონირება

2019 წლის ბოლოს მსოფლიოში გავრცელდა ინფორმაცია **COVID19**-ის (კორონავირუსის) შესახებ. 2020 წლის პირველ ნახევარში ვირუსი გლობალურად გავრცელდა და მისმა უარყოფითმა გავლენამ თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს. რადგან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს მას არ მოუხდენია შესამჩნევი გავლენა *კომპანიის* გაყიდვებსა და მიწოდების პროცესზე, თუმცა სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ *კომპანიის* უწყვეტი ფუნქციონირების დაშვება არის შესაფერისი და იგი გააგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლებელ ნაბიჯს უარყოფითი გავლენების თავიდან ასაცილებლად შესაბამისად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველზე.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული **საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ)** ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება/ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი/1 ევრო	3.2095	3.0701

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. *კომპანია* ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების/ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება/საქონლის მიწოდება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსური აუდიტის პროცესში კლასიფიცირებულ იქნა მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანებები, შექმნილ იქნა მოთხოვნების რეზერვი და შესაბამისად ასახულ იქნა ანგარიშგების საბოლოო მონაცემებში.

კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვან დებიტორთან (შპს „ტექნო ლიდერი“) სასამართლო დავა, რომელიც 2019 წელს დაიწყო და მიუხედავად ხელმძღვანელობის მხრიდან მიღებული დამაჯერებელი რწმუნებებისა არსებული მოთხოვნის 90%-ით ამოღებაზე ფინანსურ ანგარიშგების მომზადებისას აღნიშნული მოთხოვნა თანხის არსებობიდან გამომდინარე შესაბამისი ვადაგადაცილების მიხედვით იქნა დარეზერვებული.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდგომარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

მენეჯმენტი მარაგების ჩამოწერას ახორციელებს ფაქტიური დანახარჯებით და კონტროლირდება მისი შესაბამისობა სტანდარტებით დაშვებულ ნორმებთან.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოსათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

• შენობები	20
• მრავალწლიანი ნარგავები	3-5
• მანქანა-დანადგარები	5
• სატრანსპორტო საშუალებები	5
• ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს *კომპანიის* ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება *კომპანიის* წესების მიერ. ცვლილებები *კომპანიის* წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ *კომპანიის* მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი *კომპანიის* კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა *კომპანიაზე* მფლობელის მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა *კომპანიის* მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო *კომპანიის* საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული *კომპანიის* წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდის შემოსავლის არსებითი ნაწილი მოიცავს ელექტროტექნიკის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს. ასევე საანგარიშო პერიოდში სერვისის სახით გაწეული მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს.

ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც კომპანიას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად არ ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება

მიმდინარე წელს ამოქმედდა შემდეგი ახალი სტანდარტები

- ფასს 16 - იჯარა;

ფასს 16 „იჯარა“ ანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. კომპანიისათვის ფასს 16-ის საწყისი გამოყენების თარიღი არის 2019 წლის 1 იანვარი. კომპანიამ გადაწყვიტა, ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით გამოიყენოს, რაც ფასს 16: C5(6) შესაბამისია. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ დღეს, გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები საიჯარო ვალდებულებას წარმოადგენს. ცვლადანაზღაურებიანი აქტივებისა და 12 თვეზე ნაკლები საკონტრაქტო ვადიანობის აქტივების შემთხვევაში, კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული გამონაკლისის საშუალება და იჯარას არ აღიარებს. კომპანია შეჯამებულ ინფორმაციას არ გადააფასებს. კომპანია გამოიყენებს ფასს 16-ზე გადასვლისას შესაძლებელ პრაქტიკულ გამონაკლისს და არ გადააფასებს, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან მოიცავს თუ არა იგი იჯარას.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდეელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ,

შპს ტექნოპაუს
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16 მნიშვნელოვნად არ ცვლის ბასს 17-ის მოთხოვნებს და აძლევს საშუალებას იჯარის გამცემს იჯარა ან საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად ჩაითვალოს.

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები 2;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)4;
- ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები) - საწარმოს განმარტება1;
- ბასს 1 და ბასს 8 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორებები) - მასალის განმარტება1;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წწ. ციკლი - მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია3;
- ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7 (შესწორებები) - საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა და მისი შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაზე1.

1. ძალაშია 2020 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

2. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

3. ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

4. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ტექნოპაუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 4 - საინვესტიციო ქონება და ძირითადი საშუალებები

	საინვესტიციო ქონება	მიწა	შენობა- ნაგებობი	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა	ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
საწყისი ღირებულება									
ბალანსი 31/12/2018	900 000	326271	1 794 917	39 800	67 249	313 793	388 811	130 569	3961410
აკუმულირებული ცვეთა	(420 000)	-	(698 843)	(39 419)	(59 426)	(174 209)	(340 924)	(62 604)	(1795425)
ბალანსი 31/12/2018	480 000	326271	1 096 074	381	7 823	139 584	47 888	67 965	2165985
დანამატები	-	-	144 052	-	27 133	120 797	77 626	29 600	399208
აქტივების ჩამოწერა		-		-		(10 334)	(43 157)	-	
ცვეთა პერიოდისათვის	(45 000)	-	(80 651)	(381)	(4 339)	(55 222)	(10 021)	(16 922)	(212535)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა					-		8 504	33 659	-
ბალანსი 31/12/2018	435 000	326271	1 159 475	(0)	30 616	203 329	105 995	80 643	2341330
ბალანსი 31/12/2018	480 000	326271	1 096 074	381	7 823	139 584	47 888	67 965	2165986
ბალანსი 31/12/2019	435 000	326271	1 159 477	(0)	30 616	203 329	105 995	80 643	2341332

შენიშვნა 5 - არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა
საწყისი ღირებულება	
ბალანსი 31/12/2018	25 299
აკუმულირებული ცვეთა	(23238)
ბალანსი 31/12/2018	2 062
დანამატი	11 168
ცვეთა პერიოდისათვის	(1081)
ბალანსი 31/12/2019	12 148
ბალანსი 31/12/2018	2 062
ბალანსი 31/12/2019	12 148

შენიშვნა 6 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	12/31/2018	12/31/2019
რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელი	12 359 080	18 635 145
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	4 643 869	2 504
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12 363 723	18 637 649

შენიშვნა 7 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2018	12/31/2019
სავაჭრო მოთხოვნები	4 363 687	4 573 316
გადახდილი ავანსები	125 398	148 885
სულ მიმდინარე მოთხოვნები	4 489 085	4 722 201

შპს ტექნოპაუს
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

სავაჭრო მოთხოვნები - ვადაგადაცილებული დღეები				
მოთხოვნები	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	-	1%	-	-
0-30 დღის ვადაგადაცილება	-	5%	-	-
30-60 დღის ვადაგადაცილება	2320122	10%	(232012)	2088110
61-90 დღის ვადაგადაცილება	15475	10%	(3095)	12380
60-180 დღის ვადაგადაცილება	773085	30%	(231862)	541223
180-360 დღის ვადაგადაცილება	-	50%	-	-
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	100%	-	-
შემცირებული გაუფასურების რეზერვით			(466969)	
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	3108682			2641713

შენიშვნა 8 -ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	12/31/2018	12/31/2019
ლარი საბანკო ანგარიშებზე	449 031	307 517
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	90 580	598
ნაღდი ფული სალაროში	102 701	98 321
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	642 311	406 436
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	642 311	406 436

საბანკო ნაშთების რეზერვების ანალიზი

GEL							
საფინანსო ინსტიტუტის დასახელება	ფიჩის რეიტინგი	ვალდებულების შეუსრულებლობის აღბათობა	დანაკარგის კოეფიციენტი			ნაშთი ლარში	შესაძლო დანაკარგის რეზერვი
სს საქართველოს ბანკი	B	0.02	1.00			113 242.32	2264.85
იმ ბანკი	B+	0.02	1.00			92.90	1.86
სს ლიბერთი ბანკი	B+	0.02	1.00			7 865.92	157.32
სს თიბისი ბანკი	B	0.01	1.00			173 778.37	2259.12
თ.რ. სს ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი	B	0.02	1.00			12 531.60	250.63

ჯამი **4933.77**

შპს ტექნოპაუს
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

EUR

დასახელება	ფიჩის რეიტინგი	ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა	დანაკარგის კოეფიციენტი	ნაშთი ევროში	გაცვლითი კურსი	ნაშთი ლარში	შესაძლო დანაკარგის რეზერვი
სს საქართველოს ბანკი	B	0.02	1.00	14.55 EUR	3.2095	46.70	0.93
სს თიბისი ბანკი	B	0.02	1.00	30.97 EUR	3.2095	99.40	1.99
იშ ბანკი	B+	0.02	1.00	19.91 EUR	3.2095	63.90	1.28

ჯამი 4.20

USD

დასახელება	ფიჩის რეიტინგი	ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა	დანაკარგის კოეფიციენტი	ნაშთი აშშ დოლარში	გაცვლითი კურსი	ნაშთი ლარში	შესაძლო დანაკარგის რეზერვი
სს საქართველოს ბანკი	B	0.02	1.00	42.75 USD	2.8677	139.31	2.79
იშ ბანკი	B+	0.02	1.00	43.99 USD	2.8677	126.15	2.52
სს თიბისი ბანკი	B	0.02	1.00	48.75 USD	2.8677	122.59	2.45

ჯამი 7.76
მთლიანი რეზერვი 4945.73

გაანგარიშებული რეზერვის ჯამური თანხის არარსებობიდან გამომდინარე აღნიშნული საბანკო ნაშთის დარეზერვებული არ იქნა 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 9 - მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2018	12/31/2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10 372 043	14 510 218
მიღებული ავანსები	228 474	303 240
სულ მიმდინარე ვალდებულებები	10 600 516	14 813 458

შენიშვნა 10 -შემოსავალი რეალიზაციიდან

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, შემოსავალი რეალიზაციიდან შემდეგია:

	12/31/2018	12/31/2019
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	32 227 620	35 982 628
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან ექსპორტი	5 041 911	5 548 812
შემოსავალი მომსახურებიდან	30 542	105 075
შემოსავალი იჯარიდან	92 628	116 738
	-	-
უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(368 005)	(322 519)

შპს ტექნოპაუს
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი
სულ შემოსავალი

37 024 695

41 430 734

შენიშვნა 11 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	12/31/2018	12/31/2019
გაცივებული საქონლის თვითღირებულება	27 763 199	32 195 910
სულ გაცივებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	27 763 199	32 195 910

შენიშვნა 12 - რეალიზაციის და სხვა კომერციული ხარჯები

	31.12.2018	31.12.2019
რეკლამის ხარჯი	723 141	339 157
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	46 731	77 219
ფასდაკლება, ვაუჩერი, გარანტიები და სხვა	239 651	112 432
განვადების საკომისიოს ხარჯი	475 167	418 573
მიწოდების სხვა წვრილმანი ხარჯი	7 092	26 662
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	1 491 782	974 043

შენიშვნა 13 - ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	12/31/2018	12/31/2019
ხელფასის ხარჯი	2 623 331	3 055 004
იჯარის ხარჯი	1 208 883	-
კომუნალური ხარჯი	227 307	247 618
კომუნიკაციის ხარჯი	51 762	56 966
საკანცელარიო ხარჯი	11 439	11 907
დაზღვევის ხარჯი	15 015	25 524
დაცვის ხარჯი	35 384	56 605
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	29 805	30 444
საგადასახაო ხარჯი	39 004	20 753
საბანკო ხარჯი	37 189	14 995
სხვა საოპერაციო ხარჯი	603 701	750 743
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	4 882 821	4 270 560

შენიშვნა 14 - აქტივის გამოყენების უფლება

ღირებულება	შენიშვნა	სულ
1 იანვარი 2019	6 164 276	6 164 276
დამატება	-	-
31 დეკემბერი 2019	6 164 276	6 164 276
დაგროვილი ცვეთა		
1 იანვარი 2019	-	-
ცვეთა წლის განმავლობაში	-1 262 090	-1 262 090
31 დეკემბერი 2019	-1 262 090	-1 262 090
ნარჩენი ღირებულება		
1 იანვარი 2019	4 902 186	4 902 186
31 დეკემბერი 2019	4 902 186	4 902 186

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

ფრაგმენტი მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან	2019
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა და ამორტიზაცია	1 262 090
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	294 090
საკურსო სხვაობა	144 671
მოგება-ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	1 700 851

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია *კომპანიის* წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე *კომპანიამ* დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. *კომპანია* ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე

დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ *კომპანიას* შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად *კომპანია* ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება *კომპანიის* საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება *კომპანიის* საფინანსო განყოფილების მიერ. *კომპანიის* საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. ლიკვიდურობის რისკები *კომპანიაში* მაღალია, ვინაიდან პერიოდის ბოლოს *კომპანიას* გააჩნია დიდი რაოდენობით ვალდებულებები, რომელიც წარმოქმნილია სასესხო და კრედიტორული ვალდებულებით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე *კომპანია* მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2019 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ *კომპანიაში* წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან *კომპანიის* სავალუტო სახსრების არსებითი ვალდებულებები მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ სასესხო ვალდებულებებს და სავალუტო რისკები არსებით გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, ვინაიდან *კომპანიას* ეზრდება ვალდებულებები და მასთან ერთად იზრდება ლიკვიდურობის რისკებიც.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან (დ) და (ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

შპს ტექნოპაუს
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

1. შპს „ტექნოპაუს“-ის დამფუძნებელი და შპს „ეფორ ბიშკეკი“-ს დირექტორი;
2. შპს „ტექნოპაუს“-ის დირექტორი.
3. შპს „ტექნოპაუს“-ის ფინანსური დირექტორი.

1. შპს „ტექნოპაუს“-ის დამფუძნებელი, ასევე წარმოადგებს „ეფორ ბიშკეკი“-ს დირექტორს. შპს „ტექნოპაუს“-მა განახორციელა საქონელის და მომსახურების მიწოდება ექსპორტის პირობებში, ყირგიზეთში.

საწყისი ნაშთი 01.01.2019-ის მდგომარეობით	შპს „ტექნოპაუს“-ის მიერ მიწოდებული საქონელის/მომსახურე ბის ღირებულება	უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის მომსახურების/ ღირებულება	მიმღების მიერ გადახდილი თანხა	საბოლოო ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით
56441.6 აშშ დოლარი	293960.40 აშშ დოლარი	1273.20 აშშ დოლარი	315859.80 აშშ დოლარი	33269 აშშ დოლარი

2. შპს ტექნოპაუსის დირექტორი

- შეძენელი აქვს საქონელი და მომსახურება საცალო ფასში ან სტანდარტული თანამშრომლის ფასდაკლებით.

საწყისი ნაშთი 01.01.2019-ის მდგომარეობით	საქონელის/მომსახურე ბის ღირებულება	ფასდაკლება	შპს „ტექნოპაუსის“- თვის გადახდილი თანხა	საბოლოო ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით
4823.9 GEL	3793GEL	199 GEL	8417.9 GEL	0 GEL

- ანაზღაურებული ხელფასი.

საწყისი ნაშთი 01.01.2019-ის მდგომარეობით	დარიცხული ხელფასი	დარიცხული ბონუსი / პრემია	სხვა სარგებელი (ფასდაკლება, მივლინება)	საბოლოო ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით
0 GEL	150305.69 GEL	15433.38 GEL	247.45 GEL	0 GEL

3. შპს ტექნოპაუსის ფინანსური დირექტორი

- შეძენელი აქვს საქონელი და მომსახურება საცალო ფასში ან სტანდარტული თანამშრომლის ფასდაკლებით.

საწყისი ნაშთი 01.01.2019-ის მდგომარეობით	საქონელის/მომსახურე ბის ღირებულება	ფასდაკლება	შპს „ტექნოპაუსის“- თვის გადახდილი თანხა	საბოლოო ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით
0 GEL	17136 GEL	2524 GEL	14435 GEL	177 GEL

შპს ტექნოპაუს
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი
 - ანაზღაურებული ხელფასი.

საწყისი ნაშთი 01.01.2019-ის მდგომარეობით	დარიცხული ხელფასი	დარიცხული ბონუსი / პრემია	სხვა სარგებელი (ფასდაკლება, მივლინება)	საბოლოო ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით
0 GEL	116239.29 GEL	0 GEL	3200.27 GEL	0 GEL

სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ჩართულია სასამართლო პროცესებში. წარმოქმნილი სასამართლო დავები წარმოშობოლია შეძენილი პროდუქციის დარჩენილი ღირებულების დაკისრებაზე. კომპანიის ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სასამართლო დავებიდან მოსალოდნელი შედეგი: 90/10% სარჩელის დაკმაყოფილების სასარგებლოდ.

კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვან დებიტორთან (შპს „ტექნო ლიდერი“) სასამართლო დავა რომელიც 2019 წელს დაიწყო და მიუხედავად ხელმძღვანელობის მხრიდან მიღებული დამაჯერებელი რწმუნებებისა არსებული მოთხოვნის 90 % ით ამოღებაზე ფინანსურ ანგარიშგების მომზადებისას აღნიშნული მოთხოვნა თანხის არსებითობიდან გამომდინარე შესაბამისი ვადაგადაცილების შესაბამისად იქნა დარეზერვებული.

აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებული გვაქვს ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის პირობითი ვალდებულება, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ხელშეკრულების რაიმე სადავო საკითხებთან.

კომპანიის მენეჯმენტი არ ფლობს სხვა ინფორმაციას მოსალოდნელ პრეტენზიებთან დაკავშირებით რომელმაც შესაძლოა წარმოქმნას სასამართლო დავა და გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

მმართველობითი ანგარიშგება

დოკუმენტში ასახულია კომპანიის ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტებით. აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და სტანდარტები.

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო იყოს კომპანიის საქმიანობის სპექტრი. კომპანიის რესურსები ორიენტირებულია ახალი ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობაზე და კონტროლზე.

კომპანიას აქვს ჩამოყალიბებული მისია - რომელიც გაჯერებულია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით და აქვს პრეტენზია, რომ საქართველოში არის პირველი საწარმო, როგორც სიდიდით, ასევე საქმიანობისადმი დამოკიდებულებით,

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტექნოჰაუს“-ი წარმოადგენს მსოფლიო ბრენდების ბეკოს, ბლომბერგის, გრუნდიკის, ალტუსის, მილენის, სანის, ვოქსის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში, კომპანია აწარმოებს როგორც საცალო, ასევე სადილერო, საყოფაცხოვრებო ტექნიკის და კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვას, აგრეთვე პროდუქცია ექსპორტზე გააქვს ყირგიზეთსა და სასომხეთში. კომპანია საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად ანხორციელებს და ცდილობს ქვეყანაში დაამკვიდროს ევროპული სტანდარტი.

ინფორმაცია ბიზნესის შესახებ

შპს „ტექნოჰაუს“ - ახორციელებს საქართველოში ელექტრო ტექნიკის იმპორტს და შემდგომში რეალიზაციას საცალო და სადილერო ქსელებში.

კომპანიის პროდუქცია იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა
- წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა
- კომპიუტერული ტექნიკა
- მობილური ტექნიკა
- სამომხმარებლო ტექნიკა
- სამზარეულოს აქსესუარები

კომპანიის ძირითად და ექსკლუზიურ ბრენდებს წარმოადგენს:

BEKO/BLOMBERG/GRUNDIG/VOX/SUNNY/ARZUM/MILLEN/KING

კომპანიის ბიზნეს მიმართულება:

- საცალო გაყიდვები
- სადილერო გაყიდვები
- კორპორატიული გაყიდვები

ბიზნესის განვითარება

კომპანია ყოველწლიურად ვითარდება როგორც ფრენჩაიზი მაღაზიების გაფართოვებით ასევე საკუთარი მაღაზიების გაფართოვებითაც.

შპს „ტექნოჰაუს“-ის დღეის მდგომარეობით, საქართველოს მაშტაბით 65 სავაჭრო წერტილს აერთიანებს, აქედან 6 არის შპს ტექნოჰაუსის კუთვნილი მაღაზია.

კომპანიის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს, გაყიდვების შემდგომი სერვისი და საგარანტიო პირობები, კომპანია საქართველოს მაშტაბით 8 ოფიციალური სერვის ცენტრს აერთიანებს და სერვისული მომსახურებით მთელს საქართველოს ფარავს. საგარანტიო ვადები კი 6 თვიდან 10 წლამდე მერყეობს,

კონკურენცია

შპს ტექნოჰაუს
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კომპანიის ერთ-ერთი მთავარ ღირებულებას ჯანსაღი კონკურენცია წარმოადგენს, კონკურენტებს წარმოადგენენ კომპანიები, რომლებიც ოპერირებენ როგორც იმპორტიორის, ასევე საცალო გაყიდვების ბაზარზე.

კომპანიის მთავარი კონკურენტები არიან:

1. სს ელიტ ელექტრონიკსი
2. შპს ალტაოქეი
3. შპს მეტრომარტი
4. შპს ამერიტექი (არაი)
5. შპს მატექსი (ვესტელი)
6. შპს ტექნო ბუმი

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი კონკურენტების გარდა არსებობს რამოდენიმე, მცირე სიდიდის კონკურენტი.

კომპანიას კონკურენტუნარიას ხდის, პროდუქციის ხარისხი, საგარანტიო პირობები, სერვისული მომსახურება, კვალიფიციური კადრები და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისი.

გარე ფაქტორების ზემოქმედება კომპანიის ოპერირებაზე

ძირითად ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა კომპანიის საქმიანობაზე დადებითად ან უარყოფითად, წარმოადგენს:

- ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში
- გაცვლითი კურსის ცვლილება
- საბანკო რეგულაციები
- კონკურენცია

სამომავლო გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს, მომსახურების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, ინოვაციების დანერგვა და მომხმარებლისთვის საუკეთესო ხარისხის, პროდუქციის ფართო ასორტიმენტის და მაღალი საგარანტიო ვადების შეთავაზება.

შპს „ტექნოჰაუს“-ის სამომავლო გეგმები და ძირითადი მიმართულება:

- საცალო და სადილერო ქსელების გაფართოვება
- ახალი კონცეფციური ფილიალების გახსნა
- საბაზრო წილის ზრდა
- ახალი მომხმარებლის მოზიდვა
- საგარანტიო ვადების გაუმჯობესება
- მომსახურების სერვის ცენტრების გაფართოება
- ონლაინ გაყიდვების სფეროს განვითარება

ჩვენს შესახებ ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე - www.beko.com.ge

შპს „ტექნოჰაუს“-ი, დაარსდა 2009 წლის 23 აპრილს. კომპანიის დამფუძნებელი და მფლობელია (100% წილის მფლობელი) იუსუფ ბაშარი.

კომპანია იმართება დირექტორის მიერ, რომელიც იღებს სტრატეგიულ და ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას კომპანიის საქმიანობის და სამომავლო გეგმების შესახებ: დირექტორი - მეჰმეთ მელექი.

კომპანიაში მუდმივად დასაქმებულია ასორმოცდაათზე მეტი ადამიანი, ხოლო თანამშრომელთა საშუალო წლიური რაოდენობა 2019 წლისთვის შეადგენს 125 ადამიანს.

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს, მომსახურების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და არ გეგმავს ახლო მომავალში სხვა სეგმენტში გადასვლას, თუმცა განაგრძობს სტაბილურ ზრდას.

კომპანიისთვის, ისევე როგორც სხვა ბიზნეს სექტორისთვისაა დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი რისკები და გაურკვევლობები მოიცავს: პოლიტიკური და ეკონომიკური რყევების რისკს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ; სავალუტო და საკრედიტო რისკს; საკანონმდებლო რისკს.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მოხდენის ალბათობა საკმაოდ დაბალია, თუმცა კატასტროფული შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს კომპანიისთვის.

სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, იმდენად რამდენადაც ჩვენ ჩამოგვაქვს მსოფლიო წამყვანი ბრენდების პროდუქცია, რომელსაც შევისყიდით უცხოურ ვალუტაში. გამომდინარე ეროვნული ვალუტის მკვეთრი დაცემა აძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

კომპანია არ იყენებს საბანკო სესხებს საკუთარი საქმიანობის დასაფინანსებლად, მაგრამ საკრედიტო რისკს მაინც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მასზე, ვინაიდან მყიდველთა ნაწილი კრედიტით სარგებლობს პროდუქციის შესაძენად.

დირექტორი

31 აგვისტო 2019
თბილისი, საქართველო

შპს ტექნოპაუს
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კომპანიისთვის, ისევე როგორც სხვა ბიზნეს სექტორისთვისაა დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი რისკები და გაურკვევლობები მოიცავს: პოლიტიკური და ეკონომიკური რყევების რისკს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ; სავალუტო და საკრედიტო რისკს; საკანონმდებლო რისკს.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მოხდენის ალბათობა საკმაოდ დაბალია, თუმცა კატასტროფული შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს კომპანიისთვის.

სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, იმდენად რამდენადაც ჩვენ ჩამოგვაქვს მსოფლიო წამყვანი ბრენდების პროდუქცია, რომელსაც შევისყიდით უცხოურ ვალუტაში. გამომდინარე ეროვნული ვალუტის მკვეთრი დაცემა აძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

კომპანია არ იყენებს საბანკო სესხებს საკუთარი საქმიანობის დასაფინანსებლად, მაგრამ საკრედიტო რისკს მაინც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მასზე, ვინაიდან მყიდველთა ნაწილი კრედიტით სარგებლობს პროდუქციის შესაძენად.



დირექტორი

31 აგვისტო 2019

თბილისი, საქართველო